პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

ბაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 19 მაისი, 1990 წელი ● № 21 (2898) ● СУББОТА, 19 МАЯ 1990 г.

# БОЛЬШЕ ВНИМАНИЯ ПРОТИВОПОЖАРНОЙ БЕЗОПАСНОСТИ

**Как известно, в апреле месяце нынешнего года Президиум Совета Министров Грузинской ССР рассмотрел вопросы обеспечения пожарной безопасности в республике и улучшения материально-технической базы службы пожарной охраны. О положении, сложившемся на сегодняшний день в этих сферах, рассказывает начальник УПО МВД ГССР полковник внутренней службы Д. СУРМАВА.**

**СЛЕДУЕТ** отметить, что в настоящее время на объектах народного хозяйства и в населенных пунктах (жилом секторе) республики противопожарная работа ведется неудовлетворительно. В прошлом году в республике обстановка была крайне напряженной. По сравнению с 1988 годом количество пожаров возросло на 57 процентов, материальный ущерб от них — на 67,7 процента и достиг 10.739 тысяч рублей. Наиболее сложная обстановка в этом плане отмечалась в Абхазии, Юго-Осетии, гг. Тбилиси, Гори, Чиатура, в Каспском, Местийском, Самтредском, Гурджаанском, Лагодехском и Душетском районах, а также в системах министерств торговли, легкой промышленности, культуры, народного образования, в агропромышленном комплексе и на ряде предприятий союзного подчинения.

Сложившаяся обстановка обусловлена прежде всего тем, что министерства и ведомства Грузинской ССР, Советы Министров автономных республик, исполкомы Советов народных депутатов ослабили требовательность за обеспечение пожарной безопасности объектов народного хозяйства и населенных пунктов. Руководители министерств и ведомств, предприятий, объединений и организаций не ведут решительную борьбу с нарушениями производственной, технологической и трудовой дисциплины, не проявляют должной заботы о создании безопасных условий труда, защиты от огня государственного и общественного имущества.

Примером именно такого, недопустимого отношения к сбережению народного добра от пожаров, может служить и непомерно затянувшееся решение вопроса о дальнейшем функционировании в существующих условиях столь пожаро-взрывоопасного объекта, каким является Батумский нефтеперерабатывающий завод, о непредсказуемости последствий происшествий на котором еще раз напомнили недавние события на этом предприятии.

Многие руководители смирились с фактами расхлябанности, неорганизованности, попустительства и безнаказанности расхитителей социалистической собственности, нередко пытающихся в огне пожаров скрыть следы хищения.

Именно по этой причине возникают пожары в торгово-складских помещениях Цекавшири и Минторга, на объектах других министерств и ведомств.

Материальный ущерб на объектах торговли составляет 81 процент общего ущерба от пожаров, происшедших на объектах народного хозяйства.

Примечательно, что преобладающее большинство пожаров на этих объектах происходит в ночное время, в период либо накануне, либо во время проведения инвентаризаций и ревизий. Об этом свидетельствуют пожары, происшедшие в магазинах Гурджаанского, Душетского, Каспского и Гагрского райпотребсоюзов.

Правоохранительные органы в ряде случаев не дают принципиальной оценки фактам беспечности, безответственности, небрежного отношения к сохранности народного добра, не проявляют настойчивости в устранении причин и условий, способствующих возникновению и развитию пожаров.

Министерство внутренних дел Грузинской ССР и его Управление пожарной охраны все еще не добились радикального улучшения организации профилактики пожаров и повсеместного обеспечения высокой боеготовности пожарных подразделений.

(Окончание на 2-й стр.).

## НАЗНАЧЕНИЯ

**ПРИКАЗОМ** министра внутренних дел Грузинской ССР назначены:

— заместитель начальника отдела внутренних дел Цителцкаройского райисполкома **майор милиции Попиашвили Борис Арсеньевич** на должность начальника этого же отдела;

— заместитель начальника отдела внутренних дел Болнисского райисполкома по политической части майор милиции **Гугунава Важа Константинович** на должность и. о. начальника этого же отдела.

# საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობაზე

**15 მაისს** თბილისში მუშაობას შეუდგა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით, ყრილობა გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გუმბარიძემ. მან განაცხადა, რომ არჩეულია ყრილობის 728 დელეგატი. ესწრება 699, საპატიო მიზეზით არ ესწრება 29 დელეგატი.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს — პრეზიდიუმს, სამდივნოს, სამანდატო და სარედაქციო კომისიებს.

მტკიცდება ყრილობის დღის წესრიგი, მასში შეიტანეს შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში გარდაქმნის მიმდინარეობისა და რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების შესახებ.

2. საქართველოს კომპარტიის სტატუსი.

3. საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში.

4. არჩევნები:

ა) საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოებისა;

ბ) სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატებისა.

მტკიცდება ყრილობის მუშაობის რეგლამენტი.

16 მაისს საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ განაგრძო მუშაობა.

სკკპ XXVIII ყრილობის დელეგატთა არჩევნების ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ ა. ინგოროყვამ დამსწრეთ მოახსენა ფარული კენჭისყრის შედეგები.

ყრილობამ დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის ინფორმაცია.

საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას კომუნისტთა საკავშირო ფორუმზე წარმოადგენს 98 დელეგატი.

დასასრულ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გუმბარიძე.

მხარი დაუჭირეს რა წინა დღეს გამოთქმულ წინადადებებს, გადაწყდა შეწყვიტონ ყრილობის მუშაობა და განაახლონ იგი მას შემდეგ, რაც პარტიულ ორგანიზაციებში ფართოდ განიხილავენ საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული აგებულების ძირითად დებულებათა პროექტს. ამასთან დაკავშირებით გადაიდო რესპუბლიკის კომპარტიის სტატუსის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

ამით საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობის პირველი ეტაპი.

## 18 МАЯ ОТМЕЧАЛСЯ МЕЖДУНАРОДНЫЙ ДЕНЬ МУЗЕЕВ



Пожарно-технический центр передового опыта УПО МВД ГССР функционирует с 1981 года. Цель выставки — противопожарная агитация и пропаганда. Ежегодно выставку посещают около 10 тысяч посетителей, среди них много и зарубежных гостей. В этом году здесь в гостях побывали пожарные из г. Атланта штата Джорджия.

**НА СНИМКЕ:** экскурсовод Майя Мамардашвили знакомит посетителей выставки с одной из ее экспозиций.



**ახლახან** კალინინის შს რაიგანყოფილებაში სკკპ კანდიდატებად მიიღეს განყოფილების მოწინავე თანამშრომლები: სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის კაპიტანი ე. ზუგალოვი და ინსპექტორი სანგზართვო სისტემის ხაზით, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ა. ჯაფოშვილი.

სურათზე გამოსახული არიან სისხლის სამართლის სამძებროს ოპერრწმუნებული, მილიციის ლეიტენანტი გ. ალადაშვილი უბნის ინსპექტორებთან მუშაობის ქვეგანყოფილების უფროსი, პარტბიუროს მდივანი, მილიციის მაიორი ლ. კენჭაძე, ე. ზუგალოვი, ა. ჯაფოშვილი, განყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის კაპიტანი გ. მთიდიკაური და უფროსი გამომძიებელი, მილიციის მაიორი ფ. ვიბლიანი.

**ზ. ბიაშვილის ფოტო.**

ვინ უნდა აირჩიოს ხელმძღვანელი

**ჩემი სარედაქციო მივლინების გეგმაში სრულიად არ იყო გათვალისწინებული ფაქტი, რომლისაც უნებლიე მოწმე აბაშის შს განყოფილებაში გავხდი. უჩვეულო თითქოს არაფერი ხდებოდა. უნდა აერჩიათ დაცვის სამსახურის უფროსი და ამასთან დაკავშირებით კოლექტივი ხვდებოდა განყოფილებისა და სამმართველოს ხელმძღვანელობას. სანამ ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით დაიწყებოდა გულში ჩუმად ვიმეორებდი —სიძნელეებთან ერთად რამდენი კარგი რამ მოგვიტანა დღევანდელობამ— კოლექტივი თავად ირჩევს ხელმძღვანელს, ხალხის ნებას ვერ გადაუხვალ — მაგრამ სულ რაღაც 45 წუთი აღმოჩნდა საკმარისი ჩემი გაბედული ნაფიქრალის დასამსხვრევად, თუმცა ჯობია მოვლენებს წინ არ გადავასწროთ და მივყვეთ მის თანმიმდევრობას.**

# თუ გვერდით მდგომი არ გიყვარს...

**რა მოხდა** და რატომ. მოხდა ის, რომ გასული წლის აგვისტოს თვეში აბაშის შს განყოფილების დაცვის სამსახურის უფროსი, მილიციის კაპიტანი თ. გოგიშვილი ბრძანებით განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, სხვადასხვა მიზეზთა გამო (მათი ჩამოთვლისაგან შეგნებულად ვიკავებთ თავს), რომელიც გახდა ხელმძღვანელობის განსჯისა და მსჯელობის საგანი. ბევრი ფიქრისა და ანალიზის შემდეგ თ. გოგიშვილი (გაითვალისწინეს რა მისი ოჯახური მდგომარეობა, ოთხი შვილი) დატოვეს იმავე სამსახურში დაქვეითებით, სამსახურის უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე. სადაო და საკამათო არაფერი ყოფილა, რადგან დამნაშავემ შეიგნო მომხდარის უარყოფითი მხარე და ასე გაგრძელდა ცხრა თვე. ალბათ რატომ მოხდა ის, რომ ფორმიანი თანამშრომელი თავად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, სჩადის ამორალურ საქციელს, განსაკუთრებული მსჯელობის საგანია. იქნებ არც ის იყოს აუცილებელი გავარკვიოთ, რატომ არ მოხდა ცხრა თვის მანძილზე დაცვის სამსახურის უფროსის არჩევა, მაგრამ მოდით თავი დავანებოთ ამ „იქნებს“ და გადავიდეთ იმ ყველაზე არსებით საკითხზე, რაც ახალი უფროსის არჩევის დღეს ხდებოდა.

დიდი ხანი ითმინა კოლექტივმა არმოსათმენი, დიდი ხანი და ბოლოს გაწყდა ძაფი. არ მინდა ისე გამომივიდეს თითქოს ამხ. თ. გოგიშვილი არაფერს აკეთებდა აღნიშნულ სამსახურში (პირიქით, ბევრი კარგი წამოწყების ინიციატორი და თანაავტორიც გახლავთ), მაგრამ სტატისტიკა და კომპლექსური შემოწმების შედეგები ჯიუტად მეტყველებენ შემდეგზე: სახალხო მეურნეობის მთელი დოვლათი უყურადღებოდაა მიტოვებული, არ ფუნქციონირებს სიგნალიზაციები სხვადასხვა ობიექტებზე და მათ შორის სახბანკში, არ არსებობს არანაირი დოკუმენტაცია იმის თაობაზე სახალხო მეურნეობის რა დოვლათი შემოდის და გადის რაიონიდან. თითქმის მოშლილია პულტზე სატელეფონო კავშირი, არ ფუნქციონირებს იარაღის შესანახი ოთახი (რის გამოც ერთ-ერთ თანამშრომელს სამორიგეო ნაწილში გაუვარდა ტყვია), დარღვეულია საკადრო მუშაობის რეჟიმი. მოკლედ შეიძლება ითქვას, რომ არასაუწყებო (ყოფილი) დაცვის სამსახური აბაშის შს განყოფილებაში თითქმის არ ფუნქციონირებდა. თუკი ყოველივე ამას დაუმატებთ თ. გოგიშვილის პიროვნულ თვისებებსაც — წრეგადასულად თვითდაჯერებული, ფიცხი, ნაკლებ მომთხოვნი თანამშრომლებისადმი საქმის ფაქტიური შესუსტებისათვის — ცხადი გახდება, რომ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება სწორი და სამართლიანია.

მაშ რაღა იყო სადაო, რატომ იყო, რომ კოლექტივი ასე ერთსულოვნად მოითხოვდა თ. გოგიშვილის პირვანდელ ადგილზე დაბრუნებას? სხვადასხვა სამსახურის დაცვის ობიექტის წარმომადგენლები, ბუღალტერი, კონტროლიორი, მათ შორის პარტბიუროს მდივანიც ნუთუ ეს ხალხი ბრმა თვალთახედვამ მოიყვანა თენგიზის დასაცავად. ან იქნებ გულისმომკვლელმა, არასწორმა გადაწყვეტილებამ აამაღლებინათ ხმა?!...

რაღაც ხელოვნურობა იგრძნობოდა. ერთმანეთს ეცილებოდნენ საუბარში, მართალია ითქვა, შეხვედრა კოლექტივმა მოითხოვაო, მაგრამ ვიღაცას რაღაც ეშლება, ისე არ გამოსდის როგორც უნდა იყოს, როგორც ეს მართლაც სჩვევია საქმისათვის ნამდვილ გულშემატკივარს.

— თ. გოგიშვილი კარგი კაცია, ესმის თავისი საქმე, ჩვენ შევეჩვიეთ მასთან მუშაობას, შეცდომა უნდა ეპატიოს და დავაბრუნოთ თანამდებობაზე;

— გაგვიჭირდება უმაგისოდ, ბევრი სიკეთე გვახსოვს მისგან, არის შეღავათიანი, მეგობრული, იცით, თენგიზი ვერ აიტანს სხვის უფროსობას...

უკვე ყველაფერი აშკარაა. თურმე რატომ ეპოტინებიან ასე თანამდებობის სკამს, მაგრამ ეს არ არის ყველაფრის დასასრული, მთავარი წინ გველოდება.

თავად თ. გოგიშვილმა ითხოვა სიტყვა. მონანიების, თხოვნის, მოკრძალების განწყობილებით შევყურებ მას და უეცარი აფეთქება, ანთებული თვალები, მზერას შს განყოფილების უფროსის თვალებთან ვწყვეტ.

— შენ პირადი ინტერესები გამოძრავებდა ჩემს მიმართ, ყოველ წვრილმანში კირკიტებდი, ვერ იტანდი ჩემს დამოუკიდებელ ნაბიჯებს, — შურიანი და ეგოისტი ხართ... — და მრავალი ამდაგვარი ბრალდება.

როგორც იქნა დააცხრეს აღელვებული მოსაუბრე. ყველანი გაოცებულები შევყურებთ ერთმანეთს.

კოლექტივი დუმს. ალბათ იმიტომ, რომ თ. გოგიშვილმა მისი ხასიათის ერთ-ერთ უარყოფით თვისებას ამ შეხვედრაზეც გაუსვა ხაზი.

არ მინდა მსაჯულის როლი ვიკისრო, მაგრამ ერთი რამ მაინც არ მაძლევს მოსვენებას. იქნებ ზ. თელია (აბაშის შს განყოფილების უფროსი) ბევრ რამეში სცოდავდა თქვენს წინაშე, იქნებ იყო დარღვევებიც, მაგრამ ის, რასაც შენი ჰქვია — კარგი თუ ცუდი — უნდა გაიტანო, გაუფრთხილდე. იქ, სადაც არ არის უფროს-უმცროსობა და ურთიერთპატივისცემა ვერანაირი პრობლემა ვერ გადაიჭრება. თუ გვერდით მდგომი არ გიყვარს სუსტი და უძლური ხარ, ყველა ჭირი მოგერევა და ყველა ტკივილი აგტკივდება. ალბათ უმჯობესი იქნებოდა თქვენი პირადი ინტერესები პირისპირ შეხვედრისას გაანალიზებულიყო და არა აქ, კოლექტივის წინაშე, სადაც ერთი ერთმანეთზე მეტ ავტორიტეტს უნდა ქონდეთ პიროვნულად თუ სამსახურებრივად. ალბათ ამიტომაც დაგროვდა თქვენს სამსაურში დღემდე ასობით გადაუჭრელი პრობლემები.

და მაინც კოლექტივი დაჟინებით ითხოვდა თ. გოგიშვილის დაცვის სამსახურის უფროსად დანიშვნას. პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. გუნავამაც ითხოვა, კიდევ ერთხელ გადაეხედათ მისი დღემდე გაწეული მუშაობისათვის და იქნებ... იქნებ, მაგრამ ხელმძღვანელობის დაბეჯითებულმა აზრმა ყველა დაარწმუნა, რომ თ. გოგიშვილი მართლაც არ იყო ის პიროვნება, ვისაც ეკუთვნოდა მისი დაუდევრობით დაკარგულ თანამდებობაზე დაბრუნება.

იმსჯელეს, განსაჯეს, ყველას აზრი მოისმინეს და მაინც ღიად დარჩა საკითხი, ვინ უნდა იყოს აბაშის შს განყოფილებაში დაცვის სამსახურის უფროსი (იმედია დაცვის სამმართველო უმოკლეს დროში გადაჭრის ამ საკითხს) და ამას თავად კოლექტივიც გადაწყვეტს მაგრამ მთავარი ერთი რამ არის. ვინც არ უნდა იყოს, საჭიროა პასუხისმგებლობა, გულისხმიერება, თანადგომა და შეგნება იმისა, რომ ყველა მილიციის უფროსია ის თუ რიგითი ოფიცერი, ემსახურებით ერთ საერთო საქმეს — ადამიანების, ერის კეთილდღეობას.

**გ. მოსიძე.**

**P.S. უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნულ კრებას ესწრებოდა დაცვის სამმართველოს უფროსი, მილიციის პოლკოვნიკი გ. ყვარელაშვილი.**

**წერილი დასაბეჭდად უკვე მზად იყო, როცა აბაშის შს რაიგანყოფილებიდან შეგვატყობინეს, რომ დაცვის სამსახურის უფროსად კოლექტივის წარდგინებით დანიშნეს მილიციის კაპიტანი ვახტანგ კიტია.**



На оперативном совещании у заместителя начальника Ахметского РОВД майора милиции Нугзара Дабахишвили заместитель начальника отделения охраны лейтенант милиции Тарас Мгалоблишвили, участковый инспектор старший лейтенант милиции Шалва Пинашвили и оперуполномоченный ОУР капитан милиции Темур Котошвили обсуждают итоги проведенного рейда.

# კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად

**ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ვიუწყებოდით, თუ რა მუშაობა ჩატარდა საქართველოს შს სამინისტროში სახელმწიფო ენის განმტკიცების ხაზით.**

**ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის, თუ რა კეთდება ამ ხაზით მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე, რომელსაც დაკისრებული აქვს საპასუხისმგებლო მისია — მოამზადოს კვალიფიციური კადრები.**

**ფაკულტეტზე** გასული წლის სექტემბრიდან სწავლება მიმდინარეობს ქართულ და რუსულ ენებზე. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ პროფესორ-მასწავლებლებმა მეტად დემოკრატიულ გზას მიმართეს სწავლების პროგრამის დანერგვის დროს — მსმენელებს შეუძლიათ აირჩიონ ენა, რომელზედაც სურთ სწავლა, რამეთუ ამ სასწავლებელში სწავლობენ როგორც ქართველი და საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები, ასევე მოძმე რესპუბლიკების მკვიდრნი.

მსმენელებთან შეხვედრისას აღინიშნა ის ფაქტი, რომ ეროვნულ ენაზე სწავლა უადვილებს მათ სასწავლო პროგრამის ათვისებას, რაც დადებითად მოქმედებს პროფესიული დონის ამაღლებაზე. აღინიშნა ისიც, რომ მსმენელების ნაწილი სრულყოფილად ვერ ფლობს რუსულ ენას. ეს ერთ-ერთი იმ განმსაზღვრელ პირობათაგანია, რომელმაც გამოიწვია ქართული ენის დანერგვის აუცილებლობა. სკოლაში აგრეთვე ფუნქციონირებს ქართული და რუსული ენების შემსწავლელი ჯგუფები. დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს ისტორიის შესწავლას. წლეულს მისაღებ გამოცდებზეც იქნება სიახლე, საქართველოს ისტორიაში, როგორც ცალკე საგანში ისე ჩატარდება გამოცდა. ყველა დადებით ძვრებთან ერთად უმაღლეს სკოლას საკმარისი რაოდენობით არა აქვს ქართულ ენაზე გამოშვებული იურიდიული და სპეციალური ლიტერატურა.

უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობამ თხოვნით მიმართა საკავშირო შს სამინისტროს იმის თაობაზე, რომ სკოლაში სწავლების გარკვეული ნაწილი ქართულ ენაზე ყოფილიყო გადაყვანილი. ამ პასუხმაც არ დააყოვნა და საკავშირო შს სამინისტროდან მოვიდა წერილი, რომელიც იუწყებოდა მოძმე რესპუბლიკებში, მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლების ფილიალებში სწავლების საათების ნაწილის ეროვნულ ენაზე გადაყვანის თაობაზე.

ბევრი სასიკეთო რამ ხდება მილიციის უმაღლეს სკოლაში. წლევანდელ წელს, დასწრებულ სწავლებაზე მისაღებ გამოცდებში, მონაწილეობას მიიღებენ გოგონები, რომლებიც მხოლოდ დაუსწრებელ ფაკულტეტზე სწავლობდნენ. აგრეთვე მუშავდება გეგმა იმის თაობაზე, რომ საქართველოს სჭირდება ეროვნული მილიციის უმაღლესი სკოლა და სკოლა აუცილებლად უნდა ექვემდებარებოდეს რესპუბლიკას, ემსახურებოდეს მისი კანონიერების დაცვის განმტკიცებას.

სახელმწიფოს განვითარების ამ ეტაპზე მეტად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება განათლებული, ყოველმხრივ მომზადებული კადრების აღზრდას. მილიციის სკოლის კოლექტივმა არაერთხელ დაამტკიცა საქმისა და ჩვენი ხალხისადმი ერთგულება ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში გართულებული ვითარების დროს. სასწავლებელში ყველა პირობა არის შექმნილი მსმენელთათვის — თანამედროვე სასწავლო აუდიტორიები, საცურაო აუზი, ტირი, შესანიშნავი სპორტული დარბაზი, სკოლას ჰყავს თავისი ფეხბურთის გუნდი, რომელიც ქალაქის პირველობაში მიიღებს მონაწილეობას.

ერთი შეხედვით უპრობლემო ცხოვრება აქვს სასწავლებელს, მაგრამ ეს ასე არ არის. მოძველდა საერთო საცხოვრებელი, რომელიც კაპიტალურ შეკეთებას მოითხოვს. საკმარისი ფულადი სახსრების უქონლობის გამო ბევრი რამ ვერ კეთდება მსმენელთა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად, ეს ყველაფერი კი საჭირო და აუცილებელია. პრობლემები საერთო ძალისხმევით უნდა გადაიჭრას. გვახსოვდეს ჯანმრთელი ფესვები ყოველთვის კეთილ ნაყოფს იძლევა და ჩვენც ამ იმედის თვალით შევყურებთ მილიციის სკოლის ხვალინდელ დღეს.

**თ. კოშაძიძე.**

## БОЛЬШЕ ВНИМАНИЯ ПРОТИВОПОЖАРНОЙ БЕЗОПАСНОСТИ

**(ОКОНЧАНИЕ)**

Органы Государственного пожарного надзора слабо используют предоставленные им права в поддержании должного уровня пожарной безопасности, нередко проявляют в этом деле формализм и беспринципность. Неудовлетворительно организовано расследование уголовных дел о пожарах. По многим пожарам, ущерб от которых составил сотни тысяч рублей, уголовные дела приостанавливаются в связи с неустановлением виновных и остаются нераскрытыми, а материальный ущерб невозмещенным.

Вызывает озабоченность отставание развития материально-технической базы пожарной охраны от требований сегодняшнего дня, в том числе и в столице республики, что в значительной мере обусловлено неудовлетворительным выполнением Тбилгорисполкомом постановления ЦК КП Грузии и Совета Министров ГССР «О мерах по дальнейшему повышению пожарной безопасности в г. Тбилиси» и постановления СМ ГССР «О мерах по дальнейшему укреплению пожарной безопасности в Грузинской ССР». В связи с этим даже центр города—Мтацминдский район на протяжении последних десяти лет по существу лишен здания и территории пожарного депо. В аналогичном положении находятся Глданский и Самгорский районы, большая часть Первомайского района г. Тбилиси.

В республике все еще плохо решаются вопросы развития противопожарного водоснабжения и телефонной связи, поддержания их в постоянной исправности. Требуется осуществление дополнительных мер по усилению прокурорского надзора за исполнением действующего законодательства, пожарной безопасности населенных пунктов и объектов народного хозяйства, а также за расследованием уголовных дел о пожарах с привлечением виновных к законной ответственности, с возмещением причиненного ими ущерба.

В целом, система пожарной охраны республики испытывает острую нехватку кадров пожарных со средним и высшим специальным образованием. Для урегулирования этой проблемы и в свете требований постановления Совета Министров Грузии решено вместе с Министерством народного образования с текущего года на базе Учебного центра УПО МВД ГССР начать подготовку национальных кадров пожарных со средним специальным образованием.

Предстоит создать в Тбилиси специализированную аварийно-спасательную пожарную часть и оснастить ее зарубежной техникой, решить вопрос о пошиве формы и спецодежды для личного состава профессиональной пожарной охраны республики, построить пожарные депо с соответствующим материально-техническим обеспечением в ряде регионов республики.

По договору с трудовыми коллективами и учреждениями и с помощью горрайисполкомов предполагается организовать выделение средств из фондов экономического стимулирования для улучшения финансового и материального обеспечения пожарных частей на местах. Проведение этих и других намеченных указанными выше постановлениями мероприятий позволит коренным образом улучшить состояние противопожарной безопасности на объектах народного хозяйства и в жилом фонде республики.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კაცად მაშინ ხარ საქმები...,

**თმებს** სითეთრე შეჰპარვია. ალბათ ბევრი ფიქრისა და დარდის მიზეზია, თორემ ზ. გულედანი ჯერაც ახალგაზრდაა, ენერგიული და უშიშარი. დინჯად მიყვება მის მიერ განვლილ ცხოვრების გზაზე, ხიფათზე, რომელიც არაერთხელ შეხვედრია შინაგან საქმეთა სისტემაში მუშაობის 17 წლის მანძილზე.

ჯერ იყო მესტია, ახლა კი ზ. გულედანი ოთხი წელია ენგურჰესის მშენებლობის შს განყოფილების უბნის ინსპექტორია. აქედან სვანეთიც ახლოა. ზურაბი ოჯახური დინასტიის გამგრძელებელია (მამამ 25 წელიწადი იმუშავა მესტიის შს რაიგანყოფილებაში).

— ჩემი უბანი დიდი და რთულია, ძირითადად მუშები ცხოვრობენ. ენგურჰესის რამდენიმე აგრეგატის დახურვამ გამოიწვია უმუშევართა რიცხვის ზრდა. ამან კი გაზარდა დანაშაული. ბუნებრივია მოსვენების დროც არა მაქვს. მე ჩემი ხალხის, ჩემი უბნის ცხოვრებით ვცხოვრობ, მტკივა მათი სატკივარი, მიხარია მათი სიხარული.

ალბათ სხვანაირად წარმოუდგენელია უბნის ინსპექტორი.

ზ. გულედანი არის პრინციპული და მომთხოვნი, უშიშარი, გამოირჩევა საუკეთესო ოპერატიული ალღოთი. აქვს ადამიანებთან დამოკიდებულების საუკეთესო უნარი. მოსახლეობა მის მიმართ ნდობითაა განმსჭვალული.

სწორედ ამ ნდობამ იხსნა ენგურჰესის შს რაიგანყოფილება 16 ივლისს თავდასხმისაგან იარაღის გასატაცებლად. სწორედ ზ. გულედანი ალუდგა წინ მოზღვავებულ ხალხს, ეს მან შეძლო მათი ემოციების დაცხრომა...



ზურაბის სიკარგეზე მეტყველებს არაერთი მადლობა, მიღებული სხვადასხვა დროს, როგორც საქართველოს სსრ ასევე სსრკ შს მინისტრისაგან, სხვადასხვა ჯილდო, რომელთაგან ერთ-ერთი 1987 წელს მიიღო „უმწიკვლო სამსახურისათვის". ხოლო აფხაზეთში მომხდარ ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შს მინისტრის ბრძანებით გამოეცხადა მადლობა და წახალისდა ფულადი პრემიით — სამსახურეობრივი მოვალეობის საუკეთესოდ შესრულებისათვის.

უყვარს თავისი საქმე ზურაბს, უყვარს სისხლხორცეულად, სისპეტაკე და სიმართლე მისი განუყრელი მეგობარია, მხოლოდ თავის უბანში თუ ნახავთ მას, იშვიათად ზის უბნის ინსპექტორი ოთახში — იქ უნდა ტრიალებდე საიდანაც იწყება შენი საქმე, სადაც დუღს შენი ცხოვრება და ადამიანობა, სადაც ყველაზე მეტად საჭირო ხარ. ამ პრინციპით რომ მოქმედებს მილიციის ლეიტენანტი ზ. გულედანი, იმიტომაცაა, რომ მის 17 წლიან ბიოგრაფიაში მრავლადაა ხიფათით სავსე მომენტები, ჭიდილი პირისპირ სიკვდილთან და ბოროტებასთან.

როცა ვკითხე — მილიციის გარდა თუ იმუშავებთ მეთქი სხვაგან, მტკიცედ და დამაჯერებლად მიპასუხა — არაო. ეჭვიც არ შემპარვია ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში, რადგან ზ. გულედანი ის კაცია, რომელიც ყოველდღე ეკითხება თავის თავს „აბა მე დღეს ვის რა ვარგე". სიკეთის თესვა კი მისი ყოველდღიური ცხოვრებაა.

**მ. ლიბრაძე.**

# ЗНАКОМЬТЕСЬ: МОЙ И ВАШ ДРУГ



**ЕСТЬ** люди, чье присутствие рядом доставляет радость. Одним из таких я считаю моего земляка капитана милиции Акакия Каландадзе, — человека с интересной жизнью и биографией.

Он родился в 1938 году, в селе Квенобани Чохатаурского района Грузинской ССР, в семье колхозников Серго и Фати. В доме росло семеро детей, сам Акакий был шестым ребенком. В школе всех семерых знали как лучших учеников. Когда все семеро шли из школы домой, соседи, увидев их, говорили: «Смотрите, вот идет армия Каландадзе». Ну, армия, не армия, а вот сейчас вместе с детьми и внуками они — плоть от плоти своего народа — представляют собой дружный, сплоченный коллектив.

После окончания 8-го класса в 1958 году Акакий был зачислен в автомеханический техникум, затем заочно окончил в 1975 году Московский автомеханический институт.

Отслужив в армии, в 1962 году переехал жить в Батуми, где начал работать инспектором дорожной автоинспекции.

Вскоре как передового работника его перевели в г. Кутаиси старшим автоинспектором, а в 1978 году он вновь вернулся в Батуми.

Вот уже двадцать шесть лет выполняет Акакий Каландадзе обязанности стража правопорядка. Много можно рассказывать о двадцати шести годах опасных приключений, борьбы со злом... На мой вопрос: «Что запомнилось больше всего в жизни?» — Акакий, смущаясь, вспомнил несколько эпизодов.

В 1955 году, будучи студентом автомеханического техникума, вместе с ударной комсомольской бригадой он поехал на освоение целинных земель в Казахстан. В 1956 г. вторично побывал там. В семейном архиве хранятся две почетные грамоты ЦК комсомола Грузии за добросовестный труд. Для Акакия это была своеобразная комсомольская школа. Своим убеждениям, которые Акакий приобрел там, он не изменял в течение всей службы в органах внутренних дел — в Батумской автоинспекции и на должности заместителя начальника паспортного отдела ГОВД г. Батуми. В настоящее время он работает старшим инспектором паспортного отделения II отд. Батумского ГОВД.

О службе и ответственности задач сотрудника милиции легко узнаешь по погонам. Вот таков путь Акакия Каландадзе: в 1962 году — младший лейтенант, в 1965 — лейтенант, в 1968 — старший лейтенант, в 1973 году его поздравили с капитанским званием коллеги и друзья. За многолетнюю службу он награжден медалями «За безупречную службу в милиции» всех трех степеней.

А теперь несколько слов о его сегодняшней деятельности. Может кто-нибудь считает, что работа в центре города паспортистом по своей сложности уступает службе оперативного работника, идущего по следу преступника?

В работе милиции нет малых и больших дел. Здесь каждая работа ответственна. Нужно обладать профессиональным чутьем, принципиальностью, гуманизмом при трудоустройстве и приобщении к нормальной жизни вчерашнего преступника, вернувшегося из мест лишения свободы, выдаче паспортов для поездки за границу или же пропусков на въезд в погранзону, при восстановлении утерянного паспорта. Здесь малейшая ошибка может стать роковой. Акакий Каландадзе не помнит ни одного такого случая, и это еще один штрих его работы.

Акакий Каландадзе всегда со всеми вежлив, внимателен, прост. За эти качества его уважают и любят люди. А надо признаться, не очень балуют некоторые сотрудники милиции людей вниманием и вежливостью.

В труде и служении добру прожил Акакий Каландадзе свои 50 с небольшим лет. У него прекрасная дружная семья, трое детей. Часто можно встретить молодого дедушку в выходные дни и после работы на Приморском бульваре с маленькой внучкой Анной. Глядя на них, легко понять, почему он и ему подобные так смело стоят на страже счастья и правопорядка.

**Э. ДАВИТАДЗЕ,**
**главный редактор издательства «Сабчота Аджара», член Союза писателей СССР.**

## БУДНИ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА

# ОПЕРАТИВНОСТЬ — КАЧЕСТВО ПРОФЕССИОНАЛЬНОЕ

**РАЙОН** железнодорожного вокзала — один из самых оживленных в Тбилиси. Ежедневно сюда прибывают тысячи жителей, гостей столицы республики, множество поездов с различными народнохозяйственными грузами. Естественно, что и задачи по поддержанию порядка здесь особенные и требуют от обслуживающих территорию вокзала сотрудников милиции особой бдительности, четкого выполнения своих служебных обязанностей.

Их хорошее знание и умелое ориентирование в сложной обстановке крупного транспортного узла, оперативность при раскрытии правонарушений, в том числе и по «горячим следам», не дает возможности злоумышленникам затеряться в толпе, совершить новое преступление. Так, например, не оправдалась расчеты на безнаказанность пяти жителей Тбилиси, среди которых были два несовершеннолетних, остальные — без определенного рода занятий. 28 апреля около часу ночи они на территории вокзала ограбили одного из приезжих, отобрав у него 800 рублей. Сразу после того, как потерпевший обратился с заявлением о происшедшем в милицию и сообщил внешние приметы нападавших, были приняты меры для их розыска. В результате длившегося в течение пяти часов поиска они были обнаружены в одном из помещений вокзала и задержаны. Как оказалось, после ограбления они на время покинули территорию вокзала, поделили добычу и вернулись, чтобы продолжить свой преступный промысел, но были вовремя задержаны. Похищенные деньги были изъяты и возвращены владельцу.

Аналогичным образом в считанные часы раскрыто и совершенное 7 марта преступление, когда трое злоумышленников обманным путем завели в тупик за железнодорожными путями жителя Тюменской области Владимира Т., избили его и скрылись, отобрав 300 рублей и верхнюю одежду. По внешним приметам они были задержаны в тот момент, когда слонялись по территории вокзала в поиске новых жертв. Всего полтора часа потребовалось сотрудникам милиции для установления и задержания трех подростков, пытавшихся изнасиловать одну из работниц небольшой кооперативной гостиницы «Ронода».

Немало усилий пришлось приложить при раскрытии дела о нанесении физических оскорблений и ограблении проводниками поезда Ереван — Москва пассажира, следовавшего в Сочи. Понадобилось несколько дней работы для установления всех обстоятельств дела и личностей правонарушителей, после чего специальная опергруппа выехала в Гори и задержала там трех правонарушителей, которые сейчас привлечены к уголовной ответственности за хищение личного имущества и хулиганские действия.

Совсем недавно была раскрыта по «горячим следам» еще одна кража. 11 мая житель Баку Ариф М. обратился в дежурную часть ЛОВД на ст. Тбилиси с заявлением о пропаже сумки с личными вещами и покупками. Во время осмотра помещений вокзала внимание сотрудников милиции привлек человек, осматривавший содержимое сумки, похожей на похищенную. Он был задержан, сумка была возвращена владельцу, а после установления личности преступника выяснилось, что он — ранее неоднократно судимый житель Краснодарского края Виктор Я., только в апреле освободившийся из мест лишения свободы.

Все эти и ряд других подобных преступлений были раскрыты благодаря грамотным и оперативным действиям сотрудников уголовного розыска ЛОВД на ст. Тбилиси — начальника ОУР капитана милиции А. Какауридзе, ст. оперуполномоченных УР капитанов милиции Т. Ахвледиани и Ш. Маглакелидзе, оперуполномоченного УР капитана милиции Б. Алавидзе. Все они представлены сейчас для поощрения руководством.

**Ю. КВАНТАЛИАНИ,**
**майор милиции, заместитель начальника ЛОВД на ст. Тбилиси по политчасти.**

# ყოველდღიური, „წყნარი" სამუშაო

**სისხლის** სამართლის სამძებრო სამსახურის მუშაკებს ათასი ჯურის დამნაშავესთან უწევთ შეხვედრა. ალბათ უფრო ხშირად ეს არის ყოველდღიური, „წყნარი" სამუშაო, მართალია დევნისა და სროლის გარეშე, მაგრამ მაინც დაძაბული, როდესაც ყოველი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა დიდ პროფესიულ მომზადებას მოითხოვს. ამჯერად თბილისის ოქტომბრის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ამ სამსახურის მუშაკთა საქმიანობის ორ ეპიზოდზე შევჩერდებით.

მოქალაქე მ. ბ.-ს ტელეფონით ვიღაც ურეკავდა და ემუქრებოდა. უფროსმა ინსპექტორმა, მილიციის კაპიტანმა გ. გაგნიძემ და ოპერრწმუნებულმა, მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა გ. ბოგანაშვილმა მიაგნეს გამომძალველს, რომელსაც არც ალწერილობით იცნობდნენ და არც ის იცოდნენ ზუსტად როდის გამოცხადდებოდა თავის მსხვერპლთან. ოპერატიულმა მუშაკებმა პ. კ. მაშინ დააკავეს, როდესაც მან დანის მუქარით მ. ბ-ს 1200 მანეთი წაართვა და სახლიდან გამოსულს თავი სამშვიდობოს ეგონა..,

სამი შვილის დედა ლ. ს. შემჩნეული იყო არაკანონიერ ქმედებაში, რაც დაკავშირებული იყო ნარკოტიკების გასაღებასთან, მაგრამ მისი მხილებისათვის ნივთმტკიცებების მიკვლევა იყო საჭირო. ახლახან გ. გაგნიძემ და ოპერრწმუნებულმა, მილიციის ლეიტენანტმა ზ. სებუამ საკმაო შრომა გასწიეს, რათა მის ბინაში მიეგნოთ 4,5 გრამი მშრალი მორფისათვის. „თეთრი სიკვდილის" გამსაღებელი გამოტყდა, რომ ადრეც ჩამოჰქონდა ორჯონიკიძიდან და მამასისხლად ჰყიდდა ამ საწამლავს.

... აი დაკავებულია კიდევ ორი დამნაშავე. სისხლის სამართლის სამძებროს მუშაკებმა თავიდან აგვაცილეს მოქალაქეებზე ახალი თავდასხმებისა და ახალგაზრდობის ნარკოტიკული ბანგით მოწამვლის მოსალოდნელი მცდელობანი.

**ბ. თათეიშვილი.**

# СОВЕТСКАЯ МИЛИЦИЯ

**ВЫШЕЛ** в свет очередной, третий номер журнала «Советская милиция», который открывается серией материалов, посвященных вопросам борьбы с пьянством и алкоголизмом. Под рубрикой «КПСС — на переломе истории — XXVIII съезд» в номере опубликована статья заместителя начальника Бердичевского ГОВД по политической части майора милиции В. Шимко, в которой рассматриваются некоторые актуальные проблемы, имеющиеся в работе ОВД.

В очерке специального корреспондента журнала майора милиции Т. Лисицына «Профессионал» рассказывается о полковнике милиции А. Удалове, человеке нелегкой судьбы, который в настоящее время успешно возглавляет УВД Чарджоу.

Несомненный интерес для читателей представляет статья преподавателя Московской высшей школы милиции МВД СССР капитана милиции В. Калачева «Коричневые» — об опасности неонацистских проявлений со стороны отдельных групп молодежи, исторические исследования о преступной деятельности в органах НКВД Л. Берия, подборка откликов на напечатанную в прошлом году статью «Где взять хорошего замполита?», заметки старшего научного сотрудника, начальника секции Всесоюзного научно-криминалистического центра МВД СССР Б. Федоскина «Полковник милиции в Техасе...», информации под рубрикой «Военно-историческая мозаика», другие публикуемые в номере материалы.

# გასაუბრება წარმატებით ჩააბარეს

ამ დღეებში შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოში რესპუბლიკის ყველა რეგიონიდან ჩამოსული, იყვნენ საქალაქო და რაიონული განყოფილებების მოწინავე მუშაკები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს მისაღები გამოცდები ჩაებარებინათ მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე. მათ ჩაუტარდა გასაუბრება ისტორიაში, ლიტერატურაში, ხელოვნებათმცოდნეობაში ცოდნის საერთო დონის შესამოწმებლად. გასაუბრებას ესწრებოდნენ კადრების სამმართველოს უფროსი, შ/ს პოლკოვნიკი ი. ერმოლაევი და მისი მოადგილე, შ/ს პოდპოლკოვნიკი რ. ხუბულია.

ფოტოზე გამოსახული არიან ისინი, ვინც გამოცდები წარმატებით ჩააბარა: თბილისის შს სამმართველოს ერთ-ერთი დანაყოფის მილიციელები ეთერ თელიძე და ნიკოლოზ წერეთელი, ბათუმის დაცვის განყოფილების თანამშრომელი, მილიციის სერჟანტი ფეზლი ცეცხლაძე, გალის შს რაიგანყოფილების კავშირგაბმულობის ინსპექტორი, უმცროსი სერჟანტი მერაბ ქკადუა და ცხინვალის საქალაქო განყოფილების დროებითი დაკავების იზოლატორის მილიციელი გაბრიელ კაბანოვი.

**ზ. მგალობლიშვილის ტექსტი და ფოტო.**



СПОРТ ••••••••• სპორტი ••••••••• СПОРТ ••••••••• სპორტი

## ПОЕДИНКИ НА ТАТАМИ

**В ТАЛЛИННЕ** завершился открытый лично-командный чемпионат Эстонской республиканской организации «Динамо» по рукопашному бою, посвященный 50-летию этой организации. В соревнованиях приняли участие более 50 спортсменов-динамовцев из городов Москвы, Ленинграда, сборных команд Российской федерации, Молдавии, Грузии и хозяев соревнований.

Прокомментировать эти соревнования и рассказать о новом виде спорта мы попросили руководителя сборной команды Грузсовета «Динамо», начальника центра рукопашного боя и самозащиты без оружия Грузинского республиканского совета «Динамо» старшего лейтенанта милиции В. Галярова.

— Это новый вид спорта, культивируемый в органах и подразделениях МВД и КГБ СССР. Удары в поединках этого вида рукопашного боя наносятся руками и ногами в туловище и в голову с дозированным контактом, кроме этого разрешено совершать броски, проводить удушающие и болевые приемы.

Участники соревнований одевают защитное снаряжение на голову, руки и ноги. Поединки продолжаются 3 минуты (чистого времени), а полуфинальные и финальные — 5 минут. Ну а теперь о самих соревнованиях. В командном зачете грузинские рукопашники выступили удачно, заняв II место, уступив лишь хозяевам соревнований. В личных соревнованиях у нашей сборной две серебряные и две бронзовые награды. Серебряные награды завоевали оперуполномоченный ОУР Первомайского РОВД старший лейтенант милиции Д. Хуцишвили (категория до 80 кг) и милиционер-водитель Орджоникидзевского РОВД младший сержант милиции Г. Давиташвили (до 75 кг).

Бронзовые награды получили пожарный СВПЧ-4 ОПО УВД Тбилгорисполкома рядовой внутренней службы м/спорта С. Самарджиев и заместитель командира подразделения ППС УВД Тбилгорисполкома по политчасти старший лейтенант милиции мастер спорта З. Логуа.

В июне месяце в Тбилиси предполагается провести турнир Грузсовета «Динамо» по рукопашному бою, посвященный памяти майора милиции Ф. Хвистани, с участием сборных команд всех регионов республики. Предполагается, что в дальнейшем он станет традиционным и открытым, с участием сборных из других республик.

В сентябре месяце наша сборная отправится в город Пермь на чемпионат ЦС «Динамо». Команды, занявшие на нем первые шесть мест, примут участие в международном турнире. Пожелаем успехов грузинским спортсменам.

Записал **А. МАЛАЯНЦ.**

## ПО ИНИЦИАТИВЕ НОК ГРУЗИИ

ПО ИНИЦИАТИВЕ Национального олимпийского комитета 13 мая в республике впервые был проведен «Олимпийский день». Спортивно-массовые мероприятия, в которых добровольно приняли участие тысячи людей разных возрастов, прошли во всех регионах республики.

Одно из таких мероприятий состоялось в г. Тетри-Цкаро, где прошло первенство района по шахматам. В нем приняли участие 12 представителей различных организаций района, в том числе и сотрудники Тетрицкаройского РОВД. Соревнование проходило по круговой системе. В результате четырехдневной борьбы звание чемпиона района завоевал рабочий Тетрицкаройского дорожного эксплуатационного участка А. Иониди, второе место занял заместитель начальника Тетрицкаройского РОВД по политической части майор милиции Р. Раминашвили, на третье место вышел заместитель редактора местной газеты «Дидгори» А. Гигаури.

**გიორგი სანადირაძე**

# აკრძალული თამაშები

„თუ ეგრეა, ათი საათისათვის უნდა მოვიდეს".

რომანი საათს დაჰყურებს — ცხრა სრულდებოდა.

„რა გაეწყობა, უნდა დაველოდოთ, — თქვა.

ნოდარი აზუსტებს:

— თქვენ ისე თქვით „ათისთვის უნდა მოვიდესო", შეიძლება უფრო ადრე მოვიდეს, ან დააგვიანდეს...

— ზუსტად მოვა, — თქვა ქალმა.

საათის ისრები ათს გაუსწორდნენ. კედლის საათიდან გამოიფრთხიალა გუგულმა. გამოიფრთხიალა და უმალვე შებრუნდა უკან. „მოიშალა"! — გაუელვა რომანს.

ეშმაკსაც წაუღია!

რა დროს საათზე ფიქრია!

ელა აშკარად აღელვებული იჯდა. ხელებით მაგიდის კიდეს მიყრდნობოდა.

ისიც უცდიდა.

ნეტა რით მოვა, მანქანით თუ ფეხით?

ჭიშკართან მანქანა გაჩერდა.

წამით გაჩერდა რომანის გულის ძგერაც...

და უცებ: ბაგ-ბუგ! ბაგ-ბუგ! სისხლი გიჟურად დაიძრა თავიდან ფეხებისაკენ. ფეხებიდან თავისაკენ...

გაიჭრიალა ჭიშკარმა.

რომანმა ფარდებს შორის დარჩენილი არედან დაინახა: ტაქსი, მძღოლი და სამი მგზავრი!

მაღალი, ლამაზი ჭაბუკი გადმოვიდა მანქანიდან.

უკანა სავარძელში მსხდომთა სახეების დანახვა შეუძლებელია.

არა, ტაქსი წასვლას არ აპირებს.

აქედან დასკვნაც: გაბიჩვაძე მარტო არაა. იგი ერთი წუთით შემოივლის ელასთან, ერთი წუთით...

ჭიშკარს აღებს, შემოდის.

ნაწვიმარ ქუჩაში საეჭვოს ვერაფერს ამჩნევს.

სწრაფად მიემართება შენობისაკენ.

პარმაღზე რატომღაც ჩერდება.

აი, ახლა, კარს გააღებს და შემოვა, — გაუელვა რომანს.

მაგრამ გაბიჩვაძე უცნაურმა წინათგრძნობამ, თუ ეჭვმა შეიპყრო.

რა იყო ეს, დევნილი კაცის გუმანი?

შიში?

— ელა! დაიძახა მან პარმაღიდან.

ელა წამოდგა.

— ელა! — ახლა ჩუმად გაისმა გაბიჩვაძის ხმა.

„გაეპასუხე!" — ჩაიჩურჩულა რომანმა. მას პისტოლეტი უკვე მომარჯვებული ჰქონდა.

— შემოდი! — ჭნავილის მსგავსი აღმოხდა ელას.

რომან გვენცაძე. მაინც რა საოცარია დამნაშავის ფსიქიკა! დარწმუნებული ვარ, ეს შინაგანმა ალღომ უკარნახა, არ შესულიყო სახლში. კარს ქუჩის მხარეს ჰქონდა ანჯამები. ამიტომ ყოვლად უაზრობა იყო კარითან ჩასაფრება. გამოსწევდა თავისკენ კარს. ყოველი შემთხვევისათვის გაღებულ კარს ამოეფარებოდა და... ასეც მოხდა. კარი გაიღო. ზღურბლზე კი არავინ ჩანდა. „ელა!" — დაიძახა გაბიჩვაძემ, კარი დახურა (გარედან, [illegible]) და სირბილით გაიქცა მანქანისაკენ. „მომყევი ნოდარ!" — დავიძახე და სარკმლიდან გადავხტი. ჩემი ქუჩაში გავარდნა და მანქანის კუთხეში გაუჩინარება ერთი იყო!

მივყევი. წინ ავტოგასამართი სადგურია. იქ უზარმაზარი ტრაილერია გაჩხერილი, რომელიც დაწესებულების ეზოში აპირებდა შესვლას. შეჩერდა მოძრაობა. თუ ბედი მაქვს ტაქსი სადღაც აქ იქნება. ბედი მქონია. აგერ ნაცნობი ტაქსი, მაგრამ შორიდანვე ვხედავ, მარტო მძღოლი ზის შიგ. მივვარდი, კარი გამოვაღე, გაპარულან. გაპარულან და უკან სავარძელზე პარიკი დაუტოვებიათ. სიმწრისაგან ვჭმუჭნი პარიკს. საით გაიქცნენ? — ვუყვირივარ მძღოლს. ან რატომ ვუყვირივარ? რა დააშავა მძღოლმა? „როცა გავეჩხირეთ, ფული დამიგდეს და გაცვივდნენ!" ისევ გავრბივარ ნოდარი ფეხდაფეხ მომყვება. გზადაგზა სხვა მანქანებსაც ვათვალიერებ. წავიდნენ! გაიპარნენ მაგრამ საით? შეშინებული ადამიანები მიცქერიან. მერიდებიან. ალბათ ამაზრზენი სანახავი ვარ ცალ ხელში შეწკიპული პისტოლეტი მიჭირავს, ცალში პარიკი. რა მოხდა?" — ამუხრუჭებს ვიღაც „ჟიგულს," ავაზაკები გაგვექცა, — ვეუბნები. „დაჯექით — საით გაიქცა?" „ეგ რო ვიცოდე!" ძლივს ვითქვამ სულს. მანქანა მიქრის. წინ გზაჯვარედინია ერთი გზა ქალაქისკენ მიდის, მეორე — გარეუბნისკენ. გარეუბანი მარჯვნივაა. „მარჯვნივ!" ვეუბნები „ჟიგულის" მძღოლს. არავინ მითხრას, რომ სამძებრო საქმეში ბედი არ არსებობს, არ არსებობს ინტუიცია. ჩვენ შეგვეძლო საპირისპირო მიმართულება აგვერჩია და მერე გულდამძიმებულებს გვეპატაკა ხელმძღვანელობისათვის. დამნაშავემ გაქცევა მოასწროო! მაგრამ ასეთი რამ აღარ დაგვჭირდა. ვხედავთ: ასიოდე მეტრზე გზის პირას მანქანა დგას. ერთი კარი ღიაა. ვუახლოვდებით. მანქანაში არავინაა. მიუტოვებიათ? — ინასკვება ფიქრი. ლელიანში სამი თავი ჩანს. „ეგე!" — ხელს იშვერს ნოდარი. გარბიან. ჯერ მდინარის გასწვრივ, ბილიკს მიჰყვებიან დამნაშავენი. ბილიკი კი ტრიალი მინდვრისაკენ მიემართება.

მინდვრის ბოლოში ხის ორი კოტეჯი ჩანს. კოტეჯები ქვის ყორეთია მოკავებული. ორი მრუმე სილუეტი სწორედ ამ ყორეს შეერწყა. დარჩა რომანი მარტო. ტრიალ მინდორში. ვინ იცის — ავაზაკები შეიარაღებულნი არიან აკი რამოდენიმეჯერ გაისროლეს კიდეც მისი მიმართულებით. ისე, შესაშინებლად!... ახლა ისინი აღარ ჩანან. ყორეს მოფარებულნი უცდიან, როდის მოუახლოვდება სასროლ მანძილზე... „სატყუარა" აი, რამ დაახანა რომანი, თორემ პირველი აღმოჩნდებოდა ყორესთან. ახლა იგი თავად იყო უკიდურეს ვითარებაში.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" № 19-20

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ЗАРУБЕЖНЫЙ КАЛЕЙДОСКОП

### НЕЗАДАЧА С МОТОСКЕЙТБОРДОМ

ЖИТЕЛЬ Дуйсбурга (ФРГ), 20-летний Рольф-Карл Занкер, своеобразно модернизировал роликовую доску-скейтборд. Он пристроил к ней маломощный двигатель внутреннего сгорания, что позволило скейтборду развивать скорость до 45 километров в час. Но Занкер недолго «резвился» на своем изобретении — всего лишь 2 часа. Вскоре мотодоска была конфискована дорожной полицией. Мотивы действий блюстителей порядка таковы: даже обычный скейтборд не совсем безопасен для его владельца и пешеходов, что уж говорить о такой модернизированной игрушке!

### БЕРЕГИСЬ АВТОМОБИЛЯ...

«ЧРЕЗВЫЧАЙНОЕ ПОЛОЖЕНИЕ» — так характеризуют муниципальные власти сложившуюся в японском городе Осака обстановку. Горожанам там угрожают не эксперименты, не стихийное бедствие, а автомобили.

ინდექსი 66639

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები:

რედაქტორი ა. კობალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. უე 09454